

ZE GAVLENA


ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 04.2021

02

DRAWING





ჩვ გავლენა

ჩავ • არს მიმოხილვა 04.2021

ვინ ვართ

content
შინაარსი

REACH art VISUAL PRESENTS
საუბარი მხატვართან 4

REACH art VISUAL PRESENTS
TALK TO AN ARTIST 5

REACH art VISUAL PRESENTS
THE ULTIMATE COLLECTOR'S EDITION 6

REACH art VISUAL PRESENTS
გრაფიკა დღეს 12
ინტერვიუ თამაზ ვარვარიძესთან

REACH art VISUAL PRESENTS
DRAWING NOW 15
INTERVIEW WITH TAMAZ VARVARIDZE

REACH art VISUAL PRESENTS
EDITOR'S PAGE 18
TEA NILI

REACH art VISUAL PRESENTS
BLOG OF AN ART HISTORIAN 19
MARIAM SHERGELASVILI

REACH art VISUAL PRESENTS
კლასიკოსები 20
მარიამ გაჩეჩილაძე - უცნობი სერგო ქობულაძე

REACH art VISUAL PRESENTS
OLD MASTER 23
MARIAM GACHECHILADZE- SERGO KOBULADZE

REACH art VISUAL PRESENTS
ოქრომკვანის ბარათი EMERGING ARTIST 26
მარიამ შერგელაშვილი- გრაფიკის სხეული და გრძნობის თავისუფლება

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 27
MARIAM SHERGELASHVILI - BODY OF THE GRAPHIC & THE FREEDOM OF FEELING

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 28
SALOME DEVADZE BLOG

REACH art VISUAL PRESENTS
ოქრომკვანის ბარათი EMERGING ARTIST 29
საღომე დევაძის ბლოგი

Vare Gallery PRESENTS
გასული საუკუნის გავლენიანი მხატვრები 30
ჰენრიკ ჰრინევსკი

Vare Gallery PRESENTS
INFLUENTIAL ARTISTS OF THE LAST CENTURY 32
HENRYK HRYNIEWSKI

REACH art VISUAL PRESENTS
სტუდენტი 34
ეკატერინე თოთლაძე

REACH art VISUAL PRESENTS
NEWCOMER 35
EKATERINE TOTLADZE

Vare Gallery PRESENTS
ოქრომკვანის ბარათი UNDER 300 GEL 36
CHAKHO - SERGO CHAKHOYAN



თამუნა მელიქიშვილი

ესაუბრა

თეა ნიღი

რა არის თქვენთვის გრაფიკა?

ისე მოხდა, რომ მილენიუმის მერე აღარ ვამბობ სიტყვებს - ფერწერა, გრაფიკა. ტექნიკურადაც კი ისე შეიჭრა ერთი მეორეში, რომ უბრალოდ ნამუშევრებს ვუწოდებ. თუმცა, თუ კითხვას უნდა მოვერგო, გრაფიკა იყოს ის ხაზი, ძალა და ენერგია, რასაც ეფუძნება ჩანაფიქრი. მერე ამას ემატება ფერი, როგორც ემოციური სისავსე.

არსებობს მხატვრის გეოგრაფიული იდენტობა?

როცა გული ვარძიის ქვიშისფერისკენ გამიწევს, მაშინ ნამდვილად გენეტიკურ სითბოს ვგრძნობ, მაგრამ შეუძლებელია მხატვარი რამე საზღვრებში მოექცეს, მით უფრო გეოგრაფიულში. გენეტიკა სხვა შრეზე გადის - აქ ჩანს ზომიერება, პროპორციის წილადები, ფერის ინტენსიობა. აბრეშუმის გზა კარგი მეტაფორაა, ჩვენ ხომ გასაყარზე ვართ და შესაბამისად, ნასესხებ, საუკუნეებით გამჯდარ გავლენათა საერთო სივრცეში. ამიტომ დასავლურ-აღმოსავლურის ერთ ქვაბში ხარშვა იმდენადვე ორგანულია ჩვენი ვიზუალური ხელოვნებისთვის, რამდენადაც ენისთვის.

ღიმიღიანი ისტორია თამუნასგან...

90-იანი წლებია და გულმა აბსტრაქციისკენ გამიწია. მაშინ უფრო ვგიჟობდით, თითქოს გვინდოდა იმ ნაპრალს გადავხტომოდით, რომელმაც დასავლეთთან თანადროულ განვითარებას დაგვაშორა. ჰოდა, ჩა-ვედი ვერის პარკში და ხევის მიდამოებში დიდი, მძიმე რკინის სპირალი ვიპოვე. თაბაშირით დაგრუნტულ ტილოს დავაკარი და სხვა მასალების მცირე დეტალებიც დავაწებე. პირველი უსაგნო ობიექტი მივიღე, ისეთი მასიური, მხოლოდ სადმე თუ მიაყუდებდი. 2000 წელს, ბინიდან გადასვლისას, ეს მძიმე ლითონი უცებ მართლაც უსაგნო ნივთად იქცა. გადაგდებაც მენანებოდა და ზუსტად ჩალაგების დროს ქუჩიდან მომესმა ყურისთვის შეჩვეული შეძახილი - „ჯართს ვიბარეებ“... ამოდი, შენთვის დიდი რკინა მაქვს-მეთქი - გადავძახე ახორხლილი მანქანის მძღოლს. ცოტა ხანში ორივე სპირალს დავეჭიდეთ, მაგრამ უშედეგოდ. კარგი, მთლიანად წაიღე-მეთქი ვუთხარი. იმანაც მოიგდო მხრებზე და კიბიდან დამიძახა - გოგო, რა მიმაქვს, რო ვიცოდე, პაჟარნიკების სტენდი?

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

TALK TO AN ARTIST



Photo: Tamunda Melikishvili, Khatuna Melikishvili

Interviewer

tea nili

interview

tamuna melikishvili

What does graphics mean to you?

It just so happened that since the millennium I no longer use the words painting and graphics. They have become so intertwined with each other that I simply call them works. However, if I have to stick to the question, graphics would be the pillar, the driving force and the energy that the conception is based on. Later, color is added to is as an emotional plentitude.

Is there a geographical identity of the artist?

Whenever my heart wanders off to the sand colors of Vardzia, I always feel a genetic warmth. But it is impossible to constrain an artist in any border, especially geographical. Genetics has its own layer – it shows modesty, proportional fractions, color intensity. Silk road is a good metaphor as we are at cross-roads and, therefore, live in a shared space of borrowed, centuries-old influences. This is why intermixing the Western and the Eastern is as organic for visual art as it is for our language.

Smiley, funny story from Tamuna.

It was the 90's when I started getting curious with the abstract. At that time, we were much wilder, as if we were trying to jump over the pit that distanced us from developing in sync with the West. So, I went to the Vere Park and found a big, heavy metal spiral in the ravine. I glued it to a plasterboard and added small details of other materials as well. I ended up with the first objectless object, so massive that you could only lean it against something. In 2000, as I was moving out of this flat, this heavy metal piece suddenly turned into an objectless item. As I was feeling too bad to just throw it away, I heard a familiar noise coming from the street of a man collecting scrap metal. I called him up and said I had a big piece of metal for him. We both tried to remove the spiral but failed. I told him to take the whole thing. As he was walking down the stairs with the piece on his shoulder, he asked – Just so I know, what is this that I'm taking, some firefighter equipment?

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

THE ULTIMATE COLLECTOR'S EDITION

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ



COMING SOON








ხელი
ჩანახატი 2016
THE HAND
sketch 2016

ხელი
ზეთი, ქაღალდი 2016 37/20 სმ
კერძო კოლექცია
THE HAND
oil on paper 2016 37/20 cm
private collection








თამაზ ვარვარიძე

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

გრაფიკა დღეს



ი ნ ტ ე რ ვ ი უ

წარადგინეთ საკუთარი თავი და გვიამბეთ როგორ დაიწყეთ სახელოვნებო მოღვაწეობა

მე ვარ თამაზ ვარვარიძე, ბავშვობაში მინდოდა გამოვსულვიყავი ცირკში დამხმარე პერსონალი უნიფორმით, შემდეგ მინდოდა ვყოფილიყავი არქეოლოგი, შემდეგ კინორეჟისორი. სკოლაში მეხუთე კლასამდე ვიყავი ფრიადოსანი, შემდეგ ჩემი აკადემიური მოსწრება მკვეთრად გაუარესდა, მეშვიდე კლასის შემდეგ ჩავაბარე ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში, დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში. დავამთავრე 1972 წელს. სწავლის პერიოდში განსაკუთრებული არაფერი არ მახსენდება. დღეს ვარ ხელოვანი ე.ი. არტისტი. ძირითადი მოღვაწეობის სფერო - გრაფიკა, ფერწერა, გრაფიკული დიზაინი. ვარ სამხატვრო აკადემიის პროფესორი ემერიტუსი, გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი.

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, როგორც 70-იანი წლების თაობისა და უახლესი გრაფიკული სკოლის ფუძემდებელმა. რა არის უმთავრესი სახასიათო ნიშანი, რომლითაც ისტორიულ პროცესში ვითარდება ქართული გრაფიკული ხელოვნება?

ეს პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ქართული საბჭოთა ხელოვნება, თუმცა მათ შორის 60-იან წლებში რა თქმა უნდა იყვნენ ერთეული არაჩვეულებრივი მხატვრები და იმ დროისთვის ნამდვილი ნოვატორები, როგორც გრაფიკაში, ასევე ფერწერაში. რადგან ფერწერა ვახსენეთ, ფერწერის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ, დღეს უკვე ხშირად აღარ გვხვდება წმინდა ფერწერული ამოცანები, ზოგადად ხელოვანი თხრობიდან გადავიდა უფრო ღრმა ქვეტექსტებზე. ეს შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს.

რაც შეეხება 70-წლების გრაფიკას, აქაც შესამჩნევია საბჭოთა კვალი, უფრო ადმინისტრაციული კუთხით, რაც გამოიხატებოდა შერჩევითობის პრინციპებში, მნიშვნელოვანი იყო თემატურობა და იდეოლოგია.

თქვენ თაობაში დაიწყო უახლესი ქართული ხელოვნების ფორმირება. გაიხსენეთ ეს ალტერნატიული ძიების გზა? რა პროცესი იყო ეს პირადად თქვენთვის?

ის გარემო, უფრო სწორედ სახელოვნებო სივრცე ჩემთვის იყო სრულიად უცხო. რა თქმა უნდა ამ დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები, მათ შორის გრაფიკოსები, და მათ შორის კლასიკოსები. რეგულარულად ტარდებოდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები, რომლებიც ჩემთვის არ წარმოადგენდა ინტერესს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ ასეთ გამოფენაზე არც მიიღეს ჩემი ნამუშევარი.

ხოლო თუ გინდოდა საერთაშორისო ბიენალეზე მოხვედრა, ჯერ ადგილობრივ კომისიას უნდა შეერჩია ნამუშევარი, შემდეგ იგზავნებოდა მოსკოვში, საკავშირო მხატვართა კავშირში და მათი მოწონების შემთხვევაში გაიგზავნებოდა ბიენალეზე. ასეთ შემთხვევაში კატალოგში, შენი გვარის გვერდზე ეწერა მოსკოვში საკავშირო მხატვართა კავშირის მისამართი.

ამავე დროს, სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნებო ჟურნალებიდან სრული წარმოდგენა გვქონდა დასავლეთში ჩვენ სფეროში მიმდინარე პროცესებზე. ერთ ასეთ ჟურნალში ამოვიკითხე ბრნოს გრაფიკის ბიენალეს მისამართი, გავუგზავნე წერილი და ჩემდა გასაკვირად მივიღე მოწვევა, ეს იყო 1975 წელს. ამის შემდეგ, როდესაც კატალოგში ჩემი ნამუშევრის გვერდზე ეწერა ჩემი მისამართი, უკვე სხვადასხვა ბიენალედან პირადად მომდიოდა მოწვევები. შემდეგ ისე გავნებივრდი, უკვე ვირჩევდი სად ღირდა მონაწილეობის მიღება და სად არა. 1980 წელს იგივე ბრნოს გრაფიკის ბიენალეზე გადმომეცა ბრინჯაოს მედალი, ეს ნამუშევარი დაიბეჭდა უამრავ უცხოურ ჟურნალში. საქართველოში არავითარი გამოხმაურება ამას არ ჰქონდა.


გრაფიკა ხშირად "შავ-თეთრ ხელოვნებად" იწოდება, თქვენ გრაფიკულ ნამუშევრებში კი ფერს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. რა მნიშვნელობას იძენს ფერი თამაზ ვარვარიძის გრაფიკაში?

ვერ ვიტყოდი რომ ჩემი გრაფიკა დიდი ფერადოვნებით გამოირჩევა, თუმცა შავ-თეთრი გამოსახულებითაც შეიძლება მიაღწიო გარკვეულ ფერადოვნებას. ზოგადად გრაფიკა უნიკალური დარგია თავისი მრავალფეროვანი ტექნიკური შესაძლებლობებით (ოფორტი, ლითოგრაფია, ლინოგრავიურა, სერიგრაფია, ქსილოგრაფია და სხვა.) თუმცა აღნიშნული ტექნიკური შესაძლებლობებით ბევრი ფერის გამოყენება ართულებს ბეჭდვის პროცესს. ესეც გრაფიკის შავ-თეთრ ხელოვნებად წარმოდგენის ერთ-ერთი მიზეზია.

ხელოვნება ფორმისა და იდეის სინთეზით თანამედროვე საზოგადოებრივ პარადიგმებს ქმნის. როგორია თქვენი ესთეტიკურ-ფილოსოფიური ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით?

ძალიან კარგი კითხვაა, თუმცა პასუხიც ამ კითხვაში დევს. ნებისმიერი ჟანრის სახელოვნებო პროდუქტში მნიშვნელოვანია ფორმისა და იდეის სინთეზი. უბრალოდ ხელოვანის ამოცანაა იდეის ხარჯზე არ შესუსტდეს მისი მხატვრული ღირებულება, დღეს ზედმეტად ესთეტიზირებული ნამუშევარი არ იწვევს სიმპათიას.







ახალგაზრდა თაობასთან ინტენსიური კავშირი გაქვთ, ხართ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი. რა გამოცდილებაა როდესაც საკუთარ ცოდნას მომავალ თაობას უზიარებთ?

ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის ყველაზე მთავარი არის ის, რაც ჩვენ სტუდენტობის დროს გვაკლდა - შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და თავისუფლება. განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, როდესაც სტუდენტი უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესშია. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჯერ აკადემიურად უნდა დაოსტატდე და მერე რაც გინდა გააკეთე. ეს პროცესი პარალერულად უნდა მიდიოდეს, რათა არ დაიკარგოს ის უნიკალური მარცვალი, რომელიც შესაძლებელია შენში იყოს.

თამაზ ვარვარიძის რჩევა ახალგაზრდებს

იყო ხელოვანი — შენი პირადი არჩევანი უნდა იყოს.

ნიჭიერება საკმარისი არ არის, თუ არ გიყვარს შრომა, არაფერი არ გამოვა.

იყავი ყოველთვის თანამედროვე.

წარმატების შემთხვევაში არ მიეცე თვითკმაყოფილებას, იყავი აქტიური და იარე წინ.

ყველა ეს რჩევა ძალიან ბანალურია, მაგრამ რეალური.

ხართ გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი. თქვენი საქმიანობის ამ ნაწილზეც რომ მოგვიყვეთ?

ჩვენი საქმიანობის ძირითადი ამოცანა იყო წიგნის გამოცემა, „ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფიკა, ისტორია და თანამედროვეობა“ სოფიო კინწურაშვილთან და ნანა ჭურღულიასთან ერთად ამ წიგნზე ვიმუშავეთ ათ წელზე მეტი. ეს არის უნიკალური გამოცემა, სადაც ქრონოლოგიურად არის მოცემული ქართული დამწერლობის განვითარების გზა (ქვაზე ნაკვეთი, ხელნაწერები, ჭედურობა, ნაქარგობა, და სხვა ყველა ის ნიმუშები, სადაც გამოყენებულია ქართული შრიფტი) პირველი პალეოგრაფიული ნიშნებიდან ბოლო კომპიუტერულ შრიფტებამდე. ქართულ და ინგლისურ ენებზე. რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს ასეთი გამოცემა მანამდე არ არსებობდა. შემდეგ ეს წიგნი ითარგმნა და გერმანულ-ინგლისური ვერსია გამოიცა გერმანიაში, გამომცემლობა ჰელმუტ ბრუსკეს მიერ.

დღევანდელ ციფრულ ეპოქაში, როგორ ხედავთ ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის ურთიერთკავშირს?


დღეს ეს ორი კომპონენტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ან დარგი, ერთმანეთს საგრძნობლად დაუახლოვდა ეს შეიძლება დადებით მომენტად შევაფასოთ. მით უმეტეს ციფრულ ტექნიკას დღეს, თანამედროვე ხელოვნებაში დიდი ადგილი უკავია. გარდა ამისა, გრაფიკაში დამხმარე ტექნიკურ საშუალებადაც გვევლინება.

და ბოლოს პანდემიურ რეალობასაც რომ შევეხოთ, ხშირად გვესმის, რომ კოვიდის შემდეგ ცხოვრება ვეღარ იქნება ისეთი როგორიც იყო. რა გამოწვევაა ეს ხელოვნებისთვის? თქვენ, როგორც შემოქმედი როგორ შეაფასებდით საკუთარი ხედვით ამ პროცესს?

აბსოლუტურად ვიზიარებ წუხილს ამ მოვლენის მიმართ, თუმცა პირადად ჩემთვის ყველაფერი პირიქით იყო, რაც მე გავაკეთე ამ პერიოდში როგორც შემოქმედებითი, ასევე საყოფაცხოვრებო კუთხით, ამას მოვანდომებდი რამდენიმე წელიწადს. ან სულაც არ გავაკეთებდი. ის დროის დეფიციტი, რომელსაც ყველა ჩვენგანი განვიცდით, ამ შემთხვევაში თითქმის არ არსებობდა. ვფიქრობ, ასევე იქნებოდა ბევრი ხელოვანისთვის.







Facebook:
@GeorgianScriptTypography
@Stambasbooks

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

DRAWING NOW





Present yourself and tell us how your artistic journey stared

I am Tamaz Varvaridze. When I was a kid, I wanted to become a circus assistant that wears a uniform. Later, I wanted to become an archeologist, after that – a movie director. Up until the fifth grade of school I was an excellent students, afterwards, my academic performance got worse. After the seventh grade, I transferred to the Nikoladze art school got into the Academy of Arts after graduation. I graduated the academy in 1972. I cannot recall anything significant from the time of my studies. Today I am an artist. The main areas of my work are graphics, painting, and graphic design. I am a professor emeritus and director of graphics at the Academy of Arts.

Share your experience as the founder of the 70s generation and the modern graphic school. What is the main characteristic of the development of Georgian graphic art in the historical process?

This period can be characterized as Georgian Soviet art. There were some incredible artists and true innovators for their time in the 60s in graphics, as well as in painting. Since we mentioned painting, it can be said that purely pictorial tasks are no longer common today. Generally, artists have moved from simple narration to deeper subtexts. This can be regarded as a positive development. As for the graphics of the 70s, Soviet traces can be observed here, more in an administrative sense, which was demonstrated in the selective principles where theme and ideology were important.

interview

Tamaz Varvaridze

Modern Georgian art started to develop in your generation. Remember this alternative search path. What was this process like for you personally?

That environment, or, more precisely, the artistic space, was completely alien to me. Of course, famous artists, including graphic and classic artists, worked during that time. There were regular exhibitions in the spring and fall which were of no interest to me, especially because one of those exhibitions turned down my work.

If you wanted to attend an international biennale, firstly the local commission had to choose your work, which was then sent to Moscow and only upon their approval could the art piece get to the biennale. In this case, next to your name in the catalogue, there was the address of the artist's union in Moscow.





Graphics is often called "black and white art", but in your works colors carry a special significance. What does color mean in the art of Tamaz Varvaridze?

I cannot say that my graphic works are particularly colorful, but you can achieve certain colorfulness even with a black and white depiction. In general, graphics is a unique field with its diverse technical capabilities (etching, lithography, linocut, xylography, etc.) However, the use of many colors complicates the printing process. This is one of the reasons why graphics are presented as black and white art.

Art creates a modern paradigm with the synthesis of idea and form. What is your aesthetic-philosophical stance regarding this matter?

This is an excellent question, however, the answer resides in the question itself. In an artistic product of any genre, the synthesis of idea and form are important. It is simply the task of the artist not to undermine its artistic value at the expense of the idea. Today overly aestheticized works do not evoke approval.

At the same time, thanks to artistic journals, we were fully aware of the processes in the art space of the west. In one of these journals I read about the Brno graphics biennale, where I sent a letter and, to my surprise, I received an invitation. This was in 1975. After this, when my own address was written in the catalogue, I kept receiving invitations from other biennales. I was so spoiled I was choosing where it was worth participating. In 1980, again at the Brno biennale, I received a bronze medal and my work was printed in numerous foreign journals. There was absolutely no response to this in Georgia.



You are in close contact with the younger generation, you teach at the Academy. What is it like sharing your experience with the future generation?
For me, as a teacher, the most important thing is what we lacked during our student days - the development of creative thinking and freedom. Especially in the first stage, when the student is in the process of developing skills. I do not agree with the idea that you should first become an academic and then do what you want to do. These processes should happen in parallel so as not to lose the unique grain that may be in you.

Advice from Tamaz Varvaridze to the youth

Being an artist needs to be your personal choice.
Talent is not enough, nothing will possible unless you work hard.
Always be modern.
In case of success, do not give in to self-satisfaction, be active and move forward.
These pieces of advice are very banal, but realistic.


You are a President of the Graphic Design Association. Tell us about this side of your work.
The main objective of our work was to publish the book "Georgian Script and Typography, History and Modernity". We worked on this book with Sopio Kintsurashvili and Nana Tchurghulia for more than a decade. This is a unique edition, which chronologically shows the development of the Georgian script (stone carving, manuscripts, stamping, embroidery, and all other patterns where Georgian font is used) from the first paleographic signs to the last computer fonts. The book is in both Georgian and English. Paradoxically, such a publication did not exist before. This book was then translated and published in German-English by Helmut Bruske.

How do you see the interconnection of visual art and design in today's digital era?
Today, these two components, or the two fields, are significantly closer to each other. This can be regarded as a positive development. Digital technology today holds a significant place in modern art. In addition, it is used as a technical aid to graphics.

Finally, to touch upon the reality of the pandemic, we often hear that life after Covid-19 will never be the same. Is this a challenge for an artist? How would you, as a creator, evaluate this process?
I fully share the concerns regarding the pandemic, however, for me, everything was the opposite. What I created during this time, both artistically and in everyday life, would have taken years or I would not have done it at all if not for the pandemic. The lack of time that we all experience suddenly disappeared. I think many artists had a similar experience.







tea nili

PRESENTS

EDITOR'S PAGE



გრაფიკა არსებობის ალგორითმი

Graphics – an algorithm of existence

tea nili

pixel photo graphy



Tea Nili arqueology of Will Mcbride Photography

BLOG

მარიამ შერგელაშვილი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

BLOG OF AN ART HISTORIAN



MARIAM SHERGELASHVILI


Graphic Art –
Improvisation and Experiment






ხელოვნებაში ვიზუალური ენა სხვადასხვა ფორმითა და გადაწყვეტით მკვიდრდება. ეს ცოცხალი და შეუქცევადი პროცესია, რომელიც ისტორიისა და ესთეტიკის კანონზომიერებასთან ერთად, დროისმიერ ვიზუალზაციას აყალიბებს. გარკვეული ესთეტიკური მიმართება, დარგობრივი სპექტრი და განვითარების სახასიათო დინამიკა ისტორიულად უკვე ახასიათებს ქართულ გრაფიკულ სკოლას. ეს ტრადიცია წიგნის გაფორმებით, ბეჭდვითი ტექნოლოგიების ათვისებით დაიწყო ქართულ ხელოვნებაში და XX საუკუნის დასაწყისში კულმინაციურად განვითარდა. ამავე დროს ფორმირდა დაზგური და საჟურნალე გრაფიკის მიმართულება, გრავიურება და ქსილოგრაფია. ეს ის მნიშვნელოვანი საწყისებია, რომლებმაც ხელი შეუწყო იმ პერიოდში ახალი ხედვების დანერგვას. ამასთანავე, წლების მანძილზე იკვეთებოდა, გრაფიკა როგორც დარგი, სადაც ყველაზე მძაფრად ცხადდება იდეოლოგიურ-პოლიტიკური ხედვები (პლაკატის ხელოვნება, საგამომცემლო საქმიანობა).

Visual language is established in art in various forms and solutions. This is an irreversible and uninterrupted process, which, alongside the regularity of history and aesthetics, shapes the visualization of time. A certain aesthetic attitude, sectoral spectrum, and distinctive dynamics of development have historically characterized the Georgian graphic school. This tradition began with the design of books and the mastery of printing techniques in Georgian art and culminated in the early twentieth century. At the same time, the direction of easel and journal directions, engraving, and xylography were formed. These are the vital foundations that facilitated the establishment of new visions in that period. At the same time, over the years, graphics emerged as a field where ideological-political visions (poster art, publishing activities) are most strongly expressed.





დღევანდელი თანამედროვე მიმართება გრაფიკის დარგში ტრადიციულ კონკრეტულ ამოცანებთან ერთად (ტიპოგრაფია, ილუსტრაცია, დიზაინი, ბეჭდვის ტექნიკები) მნიშვნელოვან ზოგად მიდგომას წარმოაჩენს - თანამედროვე ხელოვნების სინთეზურ აღქმას. გრაფიკის დარგშიც თანამედროვეობის კონტექსტი, მუდმივი ექსპერიმენტზე აქცენტით ვითარდება. ეს პროცესი გვიჩვენებს თუ რამდენად ხდება გრაფიკის მედიუმში ისტორიული კონტექსტების თუ თემატიკის გადააზრებასთან ერთად ინდივიდუალური მხატვრული ენის შექმნა. დღეს იმპროვიზაცია და ექსპერიმენტი ფართო საზღვრებს შლის დიზაინს, გაფორმებას და დიგიტალურ ხელოვნებას შორის. თანამედროვეობის მგრძნობელობასთან დიალოგში ვხედავთ გრაფიკაში ინდივიდუალურ მხატვრულ გადაწყვეტებს, კონცეპტუალიზაციის მცდელობებს, რაც ქმნის იმპროვიზაციათა თავისუფალ ჯაჭვს.

Today's modern approach towards the field of graphics with traditional specific tasks (typography, illustration, design, printing techniques) represents an important general approach - a synthesized perception of contemporary art. In the field of graphics, too, the context of modernity is evolving with an emphasis on constant experimentation. This process shows the extent to which an individual artistic language is created in a graphic medium by rethinking historical contexts or themes. Today, improvisation and experimentation blur the broad boundaries between design, decoration, and digital art. In the dialogue with the sensitivity of modernity, we see individual artistic solutions in graphics, attempts at conceptualization, which creates a free chain of improvisations.

უცნობი სერგო ქობულაძე

მარიამ გაჩეჩილაძე



REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

ჯღასიკოსები

სერგო ქობულაძის ფაქსიმილიე





წიგნი „უცნობი სერგო ქობულაძე“ შედეგია იმ პროექტისა, რომელიც 2015 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ იქნა განხორციელებული.

თავდაპირველი პროექტი გულისხმობდა საქართველოს სახალხო მხატვრის სერგო ქობულაძის სახელოსნოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვას, მხატვრის ხელშენახები ნივთებისა და ოფორტის საბეჭდი დაზგის სამხატვრო აკადემიაში გადატანას, გრაფიკის ფაკულტეტზე სერგო ქობულაძის მემორიალური კაბინეტის მოწყობის მიზნით.

ჩუბინაშვილის ცენტრიდან წამოსულ ინიციატივას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დაუჭირა მხარი და მაშინვე დაიგეგმა, რომ სათანადო მასალის გამოვლენის შემთხვევაში, მოხდებოდა მისი დამუშავება, კვლევა და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა წიგნის სახით.

2015 წლის აპრილის თვეში მეცნიერთა ჯგუფი მუშაობას შეუდგა.

ჯესიკოსები

პროექტს ხელმძღვანელობდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ გაჩეჩილაძე. წევრები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები: თამარ ბელაშვილი, სოფიო ჩიტორელიძე, სტაჟიორი ნოდარ არონიშიძე, აგრეთვე მხატვრის შვილიშვილი ელისაბედ ქობულაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წლის პროექტმა შინაარსობრივად სახე იცვალა. თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტს გადაეცა მხოლოდ მხატვრის კუთვნილი ოფორტის საბეჭდი დაზგა. საჭირო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ ამ დაზგაზე გამორჩეულ და წარჩინებულ სტუდენტებს, ჯილდოს სახით, უფლება მიეცემათ საკუთარი ნამუშევრის მხოლოდ ათი ეგზემპლარის ამობეჭდვის. დაზგას უნდა გაუკეთდეს დასატვიფრი დეტალი, რომელიც „წყლის ნიშნის“ სახით დატოვებს ნაჭდევს წარწერით: „ამობეჭდილია სერგო ქობულაძის დაზგაზე“, ამით ნამუშევრის ყველა ეგზემპლარი ორიგინალის სტატუსს შეიძენს და საუკეთესო წახალისებად იქცევა ახლგაზრდა, დამწყები მხატვარ-გრაფიკოსისათვის.

მხატვრის საარქივო მასალა, კვლევა-შესწავლის მიზნით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში იქნა გადატანილი.

მასალას რომელსაც „უცნობი სერგო ქობულაძე“ წიგნი I-ის სახით წარვუდგენთ საზოგადოებას ძალზე მცირე ნაწილია იმ საარქივო დოკუმენტაციისა, რომელიც მხატვარმა დაგვიტოვა და რომლის შესწავლა-დამუშავება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და გამოქვეყნდეს.

მხატვრის არქივში დაცულია ოჯახისა და ბატონი სერგოს პირადი და ოფიციალური წერილები, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებული მიმოწერები, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოკუმენტაცია, მოხსენებები, არამარტო საკუთარი, არამედ სხვა მხატვრებისაც, სამეცნიერო კვლევითი ტექსტები. ხატვის სწავლებისთვის განკუთვნილი ტექსტი და ჩანახატები, ნახაზები, ფოტოები, ნეგატივები და ა.შ. ყოველივე ეს კვლავ ხანგრძლივ მუშაობას, გამომზეურებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ სერგო ქობულაძე არ განეკუთვნება იმ მხატვართა რიგს, რომელთა შემოქმედება შეუსწავლელია და ყურადღების მიღმაა დარჩენილი, იმ დაფარულმა საგანძურმა რაც მის სახელოსნოში იქნა „აღმოჩენილი“ სრულიად სხვა სახით დაგვანახა იგი როგორც პიროვნება, როგორც შვილი და როგორც მშობელი, როგორც მოქალაქე და როგორც მეცნიერი, როგორც მხატვარი და როგორც პედაგოგი. ახლებურად გამოაჩინა მისი ადგილი და როლი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. სწორედ ამიტომ კარგად ნაცნობი ხელოვანი უცნობად მოვიხსენიეთ და ახლებური კუთხით გვინდა წარვუდგინოთ საზოგადოებას.

ამ ეტაპზე წიგნში თავმოყრილი მასალა უფრო მომავალი კვლევებისთვის არის გამიზნული. მთავარ ამოცანას სერგო ქობულაძის, როგორც მხატვრის, საკუთარი ქვეყნის მოქალაქისა თუ მეცნიერის მიერ გამოვლენა და ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში მის მიერ შეტანილი წვლილის და შემოქმედების როლის განსაზღვრა წარმოადგენს.

მხატვრის პიროვნული თვისებების გამოსაკვეთად მასთან ახლოს მყოფი ადამიანების მოსაზრებებია მოშველიბული და მოთხრობილია ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ბავშვობის ასაკიდან დღევანდელ დღემდე.

წიგნში ასევე თითქმის სრულყოფილადაა წარმოდგენილი სერგო ქობულაძის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია (საჟურნალო-საგაზეთო სტატიები, კატალოგები, წიგნები), რომლის დიდი ნაწილი თავად შეუგროვებია მხატვარს და მის არქივში იყო დაცული.

ის, რაც დიდი ხანია ვიცით სერგო ქობულაძის შესახებ, ანუ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემები, რა თქმა უნდა ამ წიგნშიცაა გამეორებული, მაგრამ შეძლებისდაგვარადაა შევსებული, ახლად შესწავლილი და დამუშავებული დოკუმენტებით.

მნიშვნელოვანია, რომ სახელოსნოში შემონახულია მხატვრის მუშაობის პროცესის ამსახველი მასალები, რაც ძალზე საინტერესო სურათს გვიშლის თვალწინ. ჩანახატთა დიდი რაოდენობა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ხელოვანის შემოქმედებითი აზროვნების ხაზს. კადრისებური თანმიმდევრობით ვუყურებთ, თუ როგორ მიდის იგი კომპოზიციური აგების სრულყოფამდე. როგორ თანდათან ავითარებს ფიგურის საბოლოო ფორმას, დახვეწილი მოძრაობისა თუ სათანადო განცდის გადმოცემის მიღწევამდე. თავდაპირველად აგებს ადამიანის ჩონჩხს და მისთვის სასურველ, სათანადო მოძრაობაში აფიქსირებს; ამის შემდეგ კი, იწყებს „ჩონჩხის კუნთებით შემოსვას“ და საბოლოოდ „სამოსს აცმევს“. ასეთი თანდათანობითი კვლევითი პროცესის შედეგად „იბადებიან“ პოემის გმირები. ყოველივე ამას კომპოზიციური აგების ზუსტი სქემით შედგენილი, ინტერიერსა თუ პეიზაჟის სივრცეებში ჩაწერილი მოქმედებები ემატება. მაგრამ კვლევითი პროცესი სქემატურობისა და სიმშრალის შთაბეჭდილებას არ ბადებს და შეუმჩნეველია საბოლოო შედეგის ხილვისას. მაყურებელი იღებს დახვეწილ, გაწონასწორებულ, თავშეკავებული განცდებით გაჯერებულ ნაწარმოებებს და ვერ მალავს ემოციას იმის გამო, თუ როგორი ოსტატობითა და სრულყოფილებითაა წარმოდგენილი ესა თუ ის ნამუშევარი.



წიგნში პირველადაა გამოქვეყნებული წლების მანძილზე შესრულებული მრავალფიგურიანი კომპოზიციების, წიგნის ილუსტრა-

ციებისა თუ თეატრისთვის გამიზნული დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები, ასევე დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტიპის ჩანახატები, პოლიგრაფიული ანაბეჭდების სახით შემონახული ისეთი მასალები რაც ასევე უცნობი, ან მივიწყებულია. მაგ.: ჩანახატები ქალაქ გორის სადგურისა და ხიდის სადღესასწაულო გაფორმებისთვის, მოსკოვში მიმდინარე ახალგაზრდული სპორტული ოლიმპიადისთვის განკუთვნილი ქართველი მონაწილეების კოსტიუმების ესკიზები, სხვადასხვა დანიშნულების დაჯილდოების სიგელთა კომპოზიციები, კერამიკული მინიატურული მედალიონები, პლაკატები, კარიკატურები, ექსლიბრისები, პაპიროსის კოლოფების ვარიანტები და საბჭოთა კავშირის ბელადთა პორტრეტები.

მნიშვნელოვანია 1956 წელს ვენეციის ბიენალეზე მიღწეული მისი წარმატებაც. ქვეყნდება ამ მოგზაურობის დროს შექმნილი უცნობი ესკიზები და ცოტა მოგვიანებით, იტალიის თემაზე განხორციელებული დაზგური ნამუშევრებიც. საინტერესოა საზოგადოებისთვის უცნობი, მხატვრის მიერ ამ მოგზაურობისას გადაღებული ფოტოები, რომლებზეც ფოტოაპარატის ობიექტივის ხელოვანის თვალის „მორჩილებაში მოყვანით“ დაფიქსირებულია იმდროინდელი რომის, ვენეციის, ფლორენციისა თუ მილანის ხედები. ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ფოტოს ჩართვა მოხერხდა, მომავალში კი სასურველია ამ მასალის ფოტოალბომის სახით გამოქვეყნებაც.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სერგო ქობულაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის შესრულებულ ფარდას (1959-1961წწ.). წიგნში მოთხრობილია ამ ფარდის შექმნისა და არსებობის ხანმოკლე ისტორია – შესრულების დღიდან ოპერისა და ბალეტის თეატრში გაჩენილი ხანძრის შედეგად მის განადგურებამდე (9 მაისი, 1973 წ.).

წიგნში განსაკუთრებითაა გამოყოფილი სერგო ქობულაძის, როგორც პედაგოგის საქმიანობა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში იგი 1938 წლიდან იწყებს მუშაობას. 1943 წლიდან კი ხატვის კათედრას აარსებს და ხელმძღვანელობს. მისი როგორც თაობათა აღმზრდელი პედაგოგის როლის გამოვლენა ყოფილი სტუდენტების, დღეს უკვე ქართული სახვითი ხელოვნების წამყვანი ხელოვანების მოგონებებითაა წარმოდგენილი. წიგნში ჩართულია ინტერვიუების ფრაგმენტები მხატვრებთან: ლევან ცუცქირიძეთან, რადიშ თორდიასთან, რომან ცუხიშვილთან, არქიტექტორ ნუკრი ალხაზაშვილთან.

აღსანიშნავია ასევე, 1960-1970-იან წლებში სერგო ქობულაძის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფერწერული და ფანქარში შესრულებული გრაფიკული ნამუშევარი და გრავიურა. მნიშვნელოვანია, რომ ამ წლებში მხატვარი დიდ დროს უთმობს სამეცნიერო მუშაობას, ფანქრით ასრულებს ნახატებს, შიშველი ნატურის კომპოზიციებს სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომისთვის. გატაცებულია არქაული პერიოდის ანტიკური ქანდაკების, თავის პროპორციული აგების ძიებებით. აქტიურადაა დაკავებული ატენის სიონის ანგელოზის გამოსახულების და მცხეთის ჯვრის ტაძრის პროპორციებში ოქროს კვეთის კანონის გამოვლენით. ქმნის უამრავ ჩანახატს, აზომვით ნახაზს, მათემატიკური სიზუსტით აფიქსირებს მცირე დეტალებსაც კი. წერს მოხსენებებს და კვლევებს, მრავალფურცლიან ნაშრომს ოქროს კვეთაზე.

1970-იან წლებში სერგო ქობულაძის მთავარი საზრუნავი საქართველოში ძეგლთა ფიქსაციის ფოტოლაბორატორიის დაარსება ხდება.

სიცოცხლის ბოლომდე, მხატვარი გამუდმებით აგრძელებს შემოქმედებით მუშაობას ძირითადად სამეცნიერო კვლევების კუთხით და აქტიურად იბრძვის ფოტოლაბორატორიის საქმიანობის გასააქტიურებლად და გასაძლიერებლად.


ვფიქრობთ, რომ წიგნი „უცნობი სერგო ქობულაძე“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის მომავალი შესწავლის პროცესში.

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

ჯენსიკოსები



The book can be purchased at the Giorgi Chubinashvili National Research Center. Atoneli st. 9



წიგნის შეძენა შესაძლებელია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნულ კვლევით ცენტრში.

ათონელის ქ. 9

032 2 93 15 38
032 2 99 05 88

REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

OLD MASTER





SERGO KOBULADZE

The present book "Unknown Sergo Kobuladze" is the result of the project carried out in 2015 by the researchers of the George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation.

The original project is aimed at inventorying the cultural heritage preserved in the workshop of Georgian People's artist Sergo Kobuladze.

The initiative came from Chubinashvili Centre that was supported by the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. The treatment and processing of the discovered materials was planned immediately, alongside research and presentation to the general public by way of this book.

In April 2015, a group of researchers commenced working. The leader of the project was Dr. Mariam Gachechiladze, art historian; the members of the project are art historians Drs.: Tamar Belashvili and Sopio Chitorelidze; intern Nodar Aronishidze and the granddaughter of the artist Elisabed Kobuladze.

It is worth noting that the primary concept of the project was changed in the course of 2015. The Department of Graphics of the Tbilisi Academy of Arts was handed down the etching machine of the artist. After rapair-works, as an award, the promising students will be able to reprint ten works only out of the machine. The imprint detail should be installed for the machine, which will trace the watermark with the following inscription on it: "Imprinted on the Sergo Kobuladze machine". Hereby, each example will gain the original character that represents the best encouragement for young , beginning artists.

The archive of the artist was reassigned to the George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation as a result of its request.

The material, which is to be presented to the public as Book I "Unknown Sergo Kobuladze", is a small part from the archive documentation left by the artist. The documentation demands farther examination and publication.

Various documents have been preserved in the artist's archive: personal and official letters of the artist and his family, correspondence reflecting dealing with various problems and questions; documentation of Tbilisi Academy of Arts, reports of his own and other artists' research texts, texts and sketches for drawings, drawings, photos, negatives, satirical cartoons, ex libris, different designs for cigarette boxes, portraits of Soviet leaders. All above-mentioned demands continued and long-term processing.

Notwithstanding the fact, that Sergo Kobuladze does not belong to those artists whose work is not explored, the hidden treasures found in his

OLD MASTER

workshop convey his personality as a son and as a parent, as well as a scholar, an artist and a teacher in general. His place and role in the history of Georgian fine art is particularly distinguished. However, the well-known artist is opening up to us as unknown. Hence, our goal is to present him to our society by way of a new viewpoint.

The book materials assembled here are intended for further study. The focal point is revealing Sergo Kobuladze as an artist, a person or a scholar to distinguish his input in the history of Georgian culture.

To single out the peculiarities of artist's personality we quote various people close to him. The significant facts are recounted from the life and art of the artist since his childhood until now.

The references to Sergo Kobuladze are also completely listed (broadcast media, catalogues, books), the majority of which were collected by the artist himself and preserved in his archive.

What we know about Sergo Kobuladze is a big part of his biography, which is repeated in this book as well, but it is supplemented with newly researched and treated documents as much as possible.

Surviving material is a great contribution to illustration of the artist's working process. The majority of the sketches make possible for us to follow his creative mainstream. We can see how he attains the compositional perfection by means of frame sequence. Moreover, demonstrates how he develops the final shape of a figure to the subtle movement or to achievement of suitable emotional experience. Initially, he constructs the bony frame, builds it up with muscles and eventually, the figure comes through. As a result, he "gives birth" to the characters. The above indication is supplemented by the actions inserted in the interiors or landscapes constructed by the precise scheme. The examination does not make schematic or "dry" impression. Accordingly, the exquisite, balanced and restrained work of art is presented before the spectators who are not able to hide emotions against the perfection and mastery of the various compositions.


Multifigured compositions, the sketches for book illustrations, sceneries or costumes created throughout many years, are published in the book for the first time. Furthermore, it presents various sketches and polygraph imprints unknown or forgotten by the society. For instance, sketches for Gori station and festive decoration of the bridge. Sketches of sportswear for the Youth Olympic Games that took place in Moscow, compositions of various kinds of diplomas, diminutive ceramic medallions, posters...

Finding success at Venice Biennale held in 1956 is crucial for the innovative part of Sergo's life. In this book we present the overlooked sketches drawn in the course of the trip and later, easel paintings of Italy. Photos taken by the artist throughout this journey are attractive by his individual view of Italian towns – Rome, Venice, Florence and Milan. For the present we are able to publish only few photos but hereafter it is to be wished that these materials are to be published in the form of a photo album.


It is widely accepted that the front curtain made by Sergo Kobuladze for the Georgian National Opera and Ballet Theatre of Tbilisi named after Zakaria Paliashvili, takes an important place among the artistic values of the artist (1959-1961). A history of making and brief existence of the curtain is described in the present book – from its creation to its destruction as a consequence of fire on May 9, 1973 at the Georgian National Opera and Ballet Theatre.

Pedagogical activity of Sergo Kobuladze is singled out. He begins working in Tbilisi State Academy of Arts in 1938 while in 1943 he sets up the department of drawing and becomes the head of it. His big role as a tutor of many generations is reflected by recallections of his former students who now are the leading artists of Georgia. The fragments of the






OLD MASTER









interviews inserted in the text belong to the following artists: Levan Tsutskiridze, Radish Tordia, Roman Tsukhishvili and architect Nukri Alkhazashvili.

Several considerable graphic or painting works, as well as etchings drawn in 1960-1970s have to be mentioned. Sergo Kobuladze's scientific work represents a big deal in the above -mentioned period of time. He draws patterns and figures, the compositions of nude models by pencil for scientific and educational work. He is keen on studying proportional construction of a human head of archaic and classical antique periods. He is engaged in revealing the golden section of the figure of Ateni Archangel as well as in the proportions of the Holy church of Mtskheta. He makes great number of sketches, measurement drawings and fixes the minor details with extreme accuracy. He writes reports, researches and a thick book on the golden section.

In 1970 the principal care of Sergo Kobuladze is for the establishing the Monuments Recording Laboratory. To the end of his life, the artist constantly continuous his creative work in the field of scientific researches and struggles to improve the laboratory.

We believe, the book "Unknown Sergo Kobuladze" will contribute a great deal to the further research of the Georgian Art History.

სალომე დევაძე

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

EMERGING ARTIST

თანამედროვე ხელოვნების გარეშე





გრაფიკის სხეული და გრძნობის თავისუფლება

სხეულებს აქვთ საკუთარი შუქი, რომელსაც სიცოცხლისთვის მოიხმარენ: იწვიან, გარედან არ ანათებენ.

ეგონ შილე

ხელოვნების დარგებიდან გრაფიკა ის მიმდინარეობაა, სადაც ფორმა - ვიზუალური ენა ხაზით, ლაქოვანი და შტრიხოვანი ელემენტებითა და კონტურებით გამოისახება. გრაფიკულ ხელოვნებას აქვს განსაზღვრულობა, რომელიც მასალის გამოყენებაში აპრიორად გამოკვეთილია. ფანქარი, ტუში, პასტელი და ქაღალდი დაზგური გრაფიკისთვის ყველაზე გავრცელებული და აპრობირებული ტექნიკური საშუალებებია. ხელოვანი, რომელიც ხშირად გრაფიკაზე მუშაობს, მისი ფერწერისთვისაც განმსაზღვრელს ხდის გრაფიკისთვის სახასიათო შტრიხოვან დომინაციას. თუმცა იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება საზღვრული დეფინიციების მუდმივ უარყოფაზეა ორიენტირებული, ხშირად ვხვდებით ექსპერიმენტებს.



ექსპერიმენტი, რომელიც უარყოფისა და თანაყოფის გამთლიანებულ ვერსიაში ვლინდება, გვხვდება ახალგაზრდა ხელოვანის, სალომე დევაძის, შემოქმედებაში. სალომე ძირითადად ფერწერულ ნამუშევრებს ქმნის. მისი ფერადოვანი გამა ხშირად ციფრულ გრაფიკასაც მოგვაგონებს. მაგრამ სალომე დევაძე დაზგური გრაფიკის მედიუმში აერთიანებს ფერს, კონტურსა და ფორმას. ეს მთლიანობა ხშირად ექსპრესიისა და დაძაბული მრუდე ხაზების თანაკვეთაზე ვიბრირებს. ხელოვანის გრაფიკული სხეული არასტატიკური, არამედ მოძრავია, რადგან ეძიებს გათავისუფლების გზას. აქ შილესეულ დაძაბულობასთან ერთად საცნობია ასევე, სწრაფვა მხატვრულ-სუბიექტური გამომსახველობის აგებისკენ. თავად ნამუშევარში გაცხადებული სიმბოლიკა ამჟღავნებს დევაძის გრაფიკული სხეულების მხატვრული პირობითობიდან გადასვლას უფრო ცოცხალ, დინამიურად „სხვიფენილ“ მდგომარეობაში.

გრძნობის თავისუფლებაში გამჟღავნებული გარდაქმნა თითოეულ ხაზს, კონტურს, თუ ფერადოვან ლაქოვან სიბრტყეებს დამატებითი შრეს უძებნის - ეს შრე მხატვრული მგრძნობელობის ფაზაა - სადაც სამყარო, გარემომცველი მდგომერობა ყველაზე სიღრმისეულს აღწევს და გრაფიკული სხეული თავისუფლდება.


მარიამ შერგელაშვილი
ხელოვნებათმცოდნე

BODY OF THE GRAPHIC & THE FREEDOM OF FEELING

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

EMERGING ARTIST

SALOME DEVADZE



Among different art forms, graphics portrays the form with a visual language of lines, spots, striped elements and contours. Graphic art has a distinction which becomes apparent in the initial choice of material. Pencil, ink, crayon and paper are the most common and proven technical tools for graphics. Artists working in graphics develop the characteristics of liner dominance in their works. However, as contemporary visual art is oriented towards constant rejection of definitions, we often come across experiments. Experiments in the young artist Salome Devidze's work portray themselves as a unified version of definitions and their rejections.

The colorful gamma of works of Salome can sometimes be reminiscent of digital graphics. However, Slome Devadze encompasses color, contour and shape in easel graphics. This unity often vibrates at the intersection of expression and tense curve lines. The graphic body of art is not static, it is mobile as it searches for a way of liberation. Here, alongside the Schiele-esque tension, the aspiration to build artistic-subjective expression can be recognized. The symbolism expressed in the work itself reveals the transition of Devadze's graphic bodies from the artistic conditionality to a more vivid, dynamically enlightened state. The transformation revealed in the freedom of the senses seeks an extra layer for each line, contour, or colored spot flatness – this layer is the phase of artistic sensitivity – where the world, the surrounding state, reaches the most profound, and the graphic body is liberated.

Mariam Shergelashvili

Art historian

"Bodies have their own light which they consume to live: they burn, they are not lit from the outside.

Egon Schiele

SALOME DEVADZE

Ideal Face

My pencil strokes express my emotional condition. Sometimes pencil movements are soft, and sometimes rigid. Through my pencil I often try to convey contemporary rhythm of life. In today's world events happen so quickly, that often our bodies experience's stress. In my artworks I'm trying to convey these emotions through fast pencil strokes, which is psychologically associated with our unbearable contemporary rhythm.

I spent many years studying body and face structures. I try to see beauty in everyone and everything. Im my opinion, if the people perceived themselves the way I do, they would love their appearances unconditionally.

For years, I'm collecting facial features to create my "Ideal face". I developed this concept a year ago, when I realized that my relationship with face and body studies exceeded the level of a hobby. When walking in the streets with my friends, I would stop them and show them what features in this or that pedestrian, it could be their body movement, body and facial features. In my opinion, every feature has their emotion. Our body movements speak of our individuality. I discovered that through my art I was creating an idealistic Frankenstein for myself, which expressed my spiritual and physical world through biological condition.

Biologically, facial features are associated with different emotions. Each facial proportion conveys their own unique emotion. Every person has their concept of an "Ideal face. This concept is not in association with beauty standards, which in reality restrains creativity. This concept is our subconscious mirror, conveying ideas on a biological level. I have already created my "Ideal Face", which I created by stealing facial features from the people around me. My current "Ideal face" is not a final version. I don't think will ever be a final version. In my opinion the bodies and faces I create speak ideally of my emotions and environment, and will change depended on how life develops.





ჩემი ფანქრის მოძრაობა გამოხატავს ჩემს ემოციურ მდგომარეობას. ფანქრის მოძრაობა ზოგჯერ ნაზია, ზოგჯერ ხისტი. ხშირად ვცდილობ ამ მოძრაობით გადმოვცე თამანედროვე ცხოვრების რიტმი. დღევანდელ სამყაროში მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ხშირად ჩვენი სხეული ვერ უძლებს და სტრესში ვარდება. ჩემი ნამუშევრებით ვცდილობ გადმოვცე ეს ენერგეტიკა ფანქრის სწრაფ მოძრაობებში, რომელიც ფსიქოლოგიურად ასოცირდება ჩვენს დღევან-დელ გაუსაძლის თანამედროვე რიტმთან.

ბევრი წელი დავუთმე სხეულის და სახის მოყვანილობის შესწავლას. ვცდილობ ყველაში და ყველაფერში სილამაზე დავინახო. ჩემი აზრით ხალხი თავიანთ თავს ისე რომ უყურებდეს როგორც მე მათ, ყველა ბედნიერი იქნებოდა საკუთარი გარეგნობით.

წლებია ვაგროვებ სახის ნაკვთებს, რომ შევქმნა ჩემი „იდეალური სახე“. ეს კონცეფცია ჩამოვაყალიბე წინა წელს, როცა მივხდი რომ ჩემი დამოკიდებულება სახის და ნაკვთებისადმი ცილდებოდა გატაცების დონეს. ქუჩაში სეირნობიის დროს მეგობრებს ვაჩერებდი და ვეუბნებოდი, თუ რა მომწონდა ამა თუ იმ გამვლელის პლასტიკაში, სხეულის მოყვანილობაში და სახის ნაკვთებში. ჩემი აზრით ყველა ნაკვთს აქვს თავისი ემოცია. ჩვენი მოძრაობა, მიმოხვრა პირდაპირ ლაპარაკობს ადამიანის ინდივიდუალურ ისტორიაზე. აღმოვაჩინე რომ ჩემი ნამუშევრებით



ვქმნიდი იდეალურ ფრანკენშტეინს ჩემთვის, რომლითაც გამოვხატავდი საკუთარ სულიერ და ფიზიკურ სამყაროს ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობაში.

სახის ნაკვთები ბიოლოგიურადაც ასოცირდება სხვადასხვა ემოციასთან. თითოეული სახის პროპორცია გადმოსცემს თავის უნიკალურ სათქმელს. ყველა ადამიანს გააჩნია თავისი „იდეალური სახის“ კონცეფცია. ეს კონცეფცია არ ასოცირდება სილამაზის სტანდარტთან, რომელიც რეალობაში ბოჭავს კრეატივს. „იდეალური სახე“ არის ჩვენი ქვეცნობიერი სარკე, რომელიც ბიოლოგიურ დონეზე გადმოსცემს ხელოვანის სათქმელს. უკვე შექმნილი მაქვს ჩემი „იდეალური სახე“, რომელიც შევქმენი გარშემო მყოფი ადამიანებისგან სახის ნაკვთების „მოპარვით“. ეს სახე ყოველ წელს იცვლება, ამიტომ ვერ ვიტყვი რომ ამჟამად ნაპოვნი სახე ჩემი საბოლოო ვერსიაა. არ მგონია საბოლოო ვერსიამ ოდესმე იარსებოს. ვფიქრობ, ჩემს მიერ შექმნილი სახეები და სხეულები იდეალურად საუბრობენ ემოციებსა და გარემოზე ჩემს გარშემო, და შეიცლვება იმის მიხედვით თუ როგორ განვითარდება გარემო.





Vere Gallery

#janashia9

PRESENTS

გასული საუკუნის გავლენიანი მხატვრები

ჰენრიკ ჰრინევსკი

ჰენრიკ ჰრინევსკი - ილია ჭავჭავაძის თხზულებების პირველი ილუსტრატორი, თბილისის არქიტექტურის გამორჩეული ძეგლის - ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის საფასადო და ინტერიერის დეკორირების ავტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამფუძნებელთაგანი, არქიტექტორთა და აკვარელისტთა პირველი თაობის პედაგოგი, ქართული კულტურის უზადო მცოდნე და მისი მოამაგე.

ჰენრიკ ჰრინევსკი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც XX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში სახელოვნებო დარგების დაფუძნებასა და მათ განვითარებას, სწავლების თანამედროვე სტანდარტის დამკვიდრებას, ქართული სახვითი ხელოვნებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭებასა და მის ევროპიზაციას დაუდო საფუძველი.

ჰენრიკ ჰრინევსკის ავტობიოგრაფიის (19/03/1934წ.) მიხედვით, იგი ორი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია: „ქართული ორნამენტის ანალიზი ხელნაწერსა და ნახაზებში“ და „ხაზოვანი პერსპექტივა და ჩრდილთა თეორია მხატვრებისა და არქიტექტორებისთვის“

> „ა ა
>
> ქართველი ერი და პოლონეთი:
> ორი გვირგვინი და ორი კვნესა!
>
> პაოლო იაშვილი

ჰენრიკ ჰრინევსკის ახალი ქართული კულტურის, კერძოდ, სახვითი ხე-ლოვნებისა და არქიტექტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

პოლონელი ემიგრანტების შთამომავალი დაიბადა 1869 წელს ქუთაისში.

1877-98 წლები იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში გაატარა.

საფრანგეთში დაასრულა საშუალო სასწავლებელი და სამხატვრო აკადემია; ფლორენციაში მიიღო უმაღლესი სამხატვრო განათლება, ხოლო გერმანიიდან არქიტექტორის დიპლომით დაბრუნდა 1898 წელს საქართველოში და თავიდანვე ჩაერთო საქართველოს მხატვრულ-კულტურულ ცხოვრებაში.

1904 წელს მიიწვიეს კავკასიის კაზმული ხელოვნების საზოგადოების სამხატვრო სკოლაში ხატვის მასწავლებლად.

1910 წელს მონაწილეობს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპედიციებში; ამ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით აიზომა ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები; იმავდროულად მხატვარი ნატურიდან ქმნის ეთნოგრაფიული ჩანახატების სერიას.

1912 წელს ჰენრიკ ჰრინევსკი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის - დღევანდელი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი - პროექტის კონკურსში იმარჯვებს არქიტექტორ ანატოლი კალგინთან ერთად. ჰრინევსკია ამ შენობის ინტერიერის დეკორატიული კაზმულობის ავტორი.

1922 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებისთანავე ჰრინევსკი აკადემიის პროფესორი ხდება გარდაცვალებამდე.

ჰენრიკ ჰრინევსკი ნახატის ბრწყინვალე ოსტატია და შესანიშნავი აკვარელისტი. დოკუმენტური სიზუსტე მის ნამუშევრებში შერწყმულია გარკვეულ ლირიკულ ხედვასთან. მხატვრის შემოქმედების თავისებური სავიზიტო ბარათია 1914 წელს მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთტომეულის მხატვრული გაფორმება. მხატვარმა შექმნა წიგნის მთლიანი ვიზუალური სახე - დაწყებული ტიტულიდან, თავსართებით, ბოლოსართებით, საზედაო ასოებით,





ჰენრიკ ჰრინევსკი
კერძო კოლექცია

Vere Gallery
#janashia9
PRESENTS

განყოფილება საუკუნის გავლენიანი მხატვრები







საქართველოს ეროვნული მუზეუმის
მიერ გამოცემული წიგნი

ჰენრიკ ჰრინევსკის
ცხოვრებასა და შემოქმედებაზე

Book published by
Georgian National Museum

სიუჟეტური ილუსტრაციებით, დამთავრებული ბოლოსართებით. ჰრინევსკის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ქართული ჩუქურთმის გრაფიკულად ინტერპრეტირებული მოტივების ესთეტიზმი.

ჰენრიკ ჰრინევსკი სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობდა. გუმბათით გადახურული დარბაზი იყო მისი სახელოსნო; იქვე მდებარეობდა მისი მეუღლის - ქართული საბალეტო სკოლის ერთ-ერთი შემქნელის - მარია პერინის სტუდია.

ჰენრიკ ჰრინევსკი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მის დახვრეტაზე ბრძანებას ხელს აწერდნენ სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი.

ასე ტრაგიკულად დასრულდა დიდი მხატვრის, ხუროთმოძღვრისა და პედაგოგის ცხოვრება.

ჰრინევსკის შემოქმედება ქართული სახვითი კულტურის ოქროს ფონდის განუყოფელი ნაწილია.









Vere Gallery

#janashia9

PRESENTS

INFLUENTIAL ARTISTS OF THE LAST CENTURY

Henryk Hryniewski



Georgian Nation and Poland:
Two crowns and two groans!"
Paolo Iashvili



Henryk Hryniewski holds a special place in the history of modern Georgian culture, specifically in painting and architecture.

The descendent of Polish migrants was born in 1869 in Kutaisi. He spent his time between 1877-98 in Italy, France and Germany. He finished school and art academy in France; received higher education in Florence, retur-ned to Georgia with an architect's diploma from Germany in 1898 and en-gaged in the Georgian artistic-cultural life.

In 1904 he got invited to teach painting at the art school of the Caucasus fine arts society. In 1910 he participated in the expeditions of the histori-cal-ethnographic museum; during this time he was overseeing the process In 1912, Henryk Hryniewski won the project competition of the Nobility Local Bank - Building I of the current National Library of Georgia - together with the architect Anatoly Kalgin. Hryniewski is the author of the decorative arrangement of the interior of this building. Upon its establishment of the Tbilisi Academy of Arts, in 1922 Hryniewski is appoin-ted as professor until the end of his life.

Hryniewski is an excellent master of painting and an incredible aqua-realist. His works embody documental specificity and lyrical vision. The significant depiction of the artist's work is the artistic decoration of a single volume of Ilia Chavchavadze's works published by Mikheil Gedevanishvili in 1914. The artist created the complete visual image of the book, starting from the titulus, prefixes and suffixes, as well as illustrations. One of the characteristic features of Hryniewski's work is the aesthetics of the graphically interpreted motifs of traditional Georgian ornaments.

Henryk Hryniewski lived in one of the buildings of the Academy.

1937


Vere Gallery
#janashia9


PRESENTS

INFLUENTIAL ARTISTS OF THE LAST CENTURY

The dome-covered hall was his workshop; his wife, Maria Perini – one of the creators of the Georgian ballet school, has a studio nearby.

Henryk Hryniewski was arrested and executed in 1937. His execution was signed by Stalin, Molotov, Zhdanov. The life of this great painter, architect, and teacher ended so tragically. Hryniewski's work is an invaluable part of the golden fund of the Georgian fine arts Culture.






enryk Hryniewski — the first illustrator of Ilia Chavchavadze's works, author of the facade and interior decoration of one of the most magnificent monuments of Tbilisi architecture — the first building of the National Library, one of the founders of the Tbilisi State Academy of Arts, mentor of the first generation of architects and watercolourists, exquisite connoisseur of Georgian culture and its caretaker

Since the beginning of the 20th century, Henryk Hryniewski was one of the promoters of artistic development in Georgia; he greatly contributed to adoption of new standards in teaching and learning arts, giving new life to Georgian fine arts and its Europeanization.

According to Henryk Hryniewski's autobiographyll (19/03/1934), he was the author of two scientific works: "Analysis of Georgian Decoration in Manuscripts and Drawings" and "The Linear Perspective and Theory of Shadows for Painters and Architects".

სტუდენტი



ეკატერინე თოთლაძე

თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი

”

Graphics plays an important role in my works. Even though I try to learn to portray my intentions with colors, more often than not I use only a couple of them.

”

გრაფიკა ჩემს შემოქმედებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მიუხედავად იმისა, ყოველთვის ვცდილობ ვისწავლო სათქმელის შინაარსის ფერებით გადმოცემა, ხშირ შემთხვევაში, გამოდის ისე, რომ სულ რამდენიმე ფერში ვასრულებ ნამუშევარს.







REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

NEWCOMER

EKATERINE TOTLADZE

ჩემთვის გრაფიკა სიღრმეში ჩასვლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, მაქსიმალურად მიბიძგებს რომ სინათლე მუდმივად ვაკონტროლო და არ დავკარგო. არ ვიცი რატომ, მაგრამ შინაგანი სამყაროს, ჩემი ფიქრების გადმოტანა მეტად მიმარტივდება გრაფიკაზე მუშაობისას. თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ, როდესაც მინიმალური მასალით ვცდილობ მაქსიმალური შედეგის დადებას.





For me, graphics is a way to dig deep; it pushes me to constantly control the light and not to lose it. I do not know why, but depicting my inner world and thoughts is easier for me in graphics. I feel much more comfortable when I try to achieve results using minimal materials.

under 300 ლარამდე GEL
Vere Gallery
სპეციალური შეთავაზება special offer



ჩახო

სერგო ჩახოიანი(1924-2009)
ფერწერა, გრაფიკა.



Chakho

Sergo Chakhoyan (1924-2009)
Painting, Graphics.

Studied at Tbilisi State Academy of Fine Arts at the faculty of Painting (1949-54). Professors: A.Kutateladze, P. Lapiashvili, S. Kobuladze. Diploma: "Steel Founders" (Professor: A. Kutateladze). He was taking part in the exhibitions from 1953 year. He became the member of the Georgian Artists Union in 1955 year. Main Artworks: graphics – the series "Space"; Painting –"Landscape with the Trees" (1956), the series "Black Sea" (1998), "Nude", "Elder Jacob" (1998), "Woman's Portrait" (1998), "Student" (1998). Exhibitions: "Young Artists of Transcaucasia" (Tbilisi 1958), Tbilisi National Gallery (1997), Exhibition dedicated to Christmas at Tbilisi National Gallery (1997-98). Got the Premium for the Best Painting (Christmas Festival 1998). His artworks are kept at Tbilisi National Gallery and in private collections in Georgia and France.

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე (1949-54). პედაგოგები: ა. ქუთათელაძე, ფ. ლაპიაშვილი, ს. ქობულაძე. სადიპლომო ნამუშევარი: „მეფოლადეები“ (ხელმძღვანელი – ა. ქუთათელაძე). გამოფენებში მონაწილეობდა 1953 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი იყო 1955 წლიდან. ძირითადი ნამუშვრები: გრაფიკა – სერია „სივრცე“; ფერწერა „პეიზაჟი ხეებით“(1956), სერია „შავი ზღვა“ (1998), „ნიუ“, „იაკობ ხუცესი“ (1998), „ქალის პორტრეტი“ (1998), „სტუდენტი“ (1998). გამოფენები: „ამიერკავკასიის ახალგაზრდა მხატვრები“ (თბილისი 1958), სურათების ეროვნული გალერეა (თბილისი 1997), საშობაო (სურათების ეროვნული გალერეა, თბილისი 1997-98). მიღებული აქვს პრემია საუკეთესო ფერწერული ნამუშევრისთვის (საშობაო ფესტივალი 1998). მისი ნამუშევრები დაცულია სურათების ეროვნული გალერეაში (თბილისი), საქართველოსა და საფრანგეთის კერძო კოლექციებში.







DOGO
FIRST
PRINTED
SHOES



ორიგინალი, ულამაზესი ბავშვის ფეხსაცმელი



ვეგან შუზ ჯორჯია

DOGO

FIRST PRINTED SHOES

ვეგან შუზ ჯორჯია



VEGAN SHOES GEORGIA













IMPRESSUM

ISSN 2667-9728 (Online)

ზე-გავლენა ZE GAVLENA

REACH art VISUAL
ART consulting company

14, M. Kostava st. 0108, Tbilisi, GEORGIA
+995 555 551 171
@ reachart.visual@gmail.com
@ReachArtConsulting
reachart.visual

COVER: Tamuna Melikishvili doodling

Publishing and Concept	- Thea Goguadze (Tea Nili)
Art Historian	- Mariam Shergelashvili
Editor	- Tea Nili (Thea Goguadze)
Design	- Irina Kacharava
Translation and Editing	- Ana Dumbadze - Ketevan Uchaneishvili - Andriy Etcheverry - Tsiuri Garuchava - Lizi Tsiklauri
Photo	- Giorgi Beridze - Levan Kherkheulidze - Archil Tabagari
Talk	- Tamuna Malikishvili - Ekaterine Totladze
Review	- Mariam Gachechiladze - Mariam Shergelashvili - Salome Devadze
Interview	- Tamaz Varvaridze

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any formor by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronicor manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessability

ყდაზე: თამუნა მელიქიშვილის დუდლი (არაფოკუსირებული ნახატი)

გამომცემელი და კონცეფცია	- თეა გოგუაძე (თეა ნილი)
ხელოვნებათმცოდნე	- მარიამ შერგელაშვილი
რედაქტორი	- თეა ნილი (თეა გოგუაძე)
დიზაინი	- ირინა კაჭარავა
თარგამანი და კორექტურა	- ანა დუმბაძე - ქეთევან უჩანეიშვილი - ანდრი ეჩევერი - ციური გარუჩავა - ლიზი წიკლაური - გიორგი ბერიძე
ფოტო	- ლევან ხერხეულიძე - არჩილ თაბაგარი
საუბარი	- თამუნა მელიქიშვილი - ეკატერინე თოთლაძე
რეცენზიები	- მარიამ გაჩეჩილაძე - მარიამ შერგელაშვილი - სალომე დევაძე
ინტერვიუ	- თამაზ ვარვარიძე

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას,თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

In cooperation with

i STUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

14, M. Kostava st. 0108, Tbilisi, GEORGIA
+995 599 502 500
@ irina.kacharava1@gmail.com
@istudiolab
istudiolab
www.istudiolab.ge

Vere Gallery


9, S. Janashia ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 577 717 792
@ framestudio05@gmail.com
@veregallery
veregallery
www.veregallery.com

Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
© Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia

May

ANNOUNCEMENT

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ



03

IN THE BEGINNING WAS THE CLAY

ZE GAVLENA

RAV• art review 05.2021